დამტკიცებულია სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახ.
სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს
2011 წლის 10 მაისის სხდომაზე # 7

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

კომპოზიცია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი

პროგრამის მოცულობა: 240 კრედიტი

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი **ზურაბ ნადარეიშვილი**

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მიზანი: კომპოზიციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია **სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრის** აკადემიური ხარისხის მქონე მუსიკოს – კომპოზიტორის მომზადება. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ შერჩეული სპეციალობით პედაგოგიური მოღვაწეობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას.
პროგრამის დასრულების შემდეგ სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრს შეუძლია დასაქმდეს კომპოზიტორის სტატუსით მუსიკალურ და დრამატულ თეატრებში, კინოსტუდიებში, რადიო - ტელევიზიაში. სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრს შეუძლია მოღვაწეობა დაიწყოს შემოქმედებით, კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებში.
კომპოზიციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას უქმნის კურსდამთავრებულს დასაქმდეს შესაბამისი სპეციალობით მუსიკალური განათლების საშუალო რგოლში მასწავლებლად, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში მუსიკის საგნის მასწავლებლად.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:
კომპოზიციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვებისათვის მსურველებს უნდა ჰქონდეთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ატესტატი.

პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურებში (სპეციალობასა და მუსიკის თეორიაში) და ერთიანი ეროვნული გამოცდები.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება

- კურსდამთავრებულს აქვს კომპოზიციის დარგის ზოგადი ცოდნა;

- იცნობს კომპოზიციის ძირითად საფუძვლებს და მეთოდებს;
- იცის მარტივი და რთული ფორმის მუსიკალური ნაწარმოების შექმნის კანონზომიერებებს;
- აქვს მუსიკალური კულტურის, აზროვნების, ჟანრებისა და ფორმების, სტილების ისტორიული განვითარების ცოდნა (უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე);
- აქვს ჰარმონიის, პოლიფონიის, საკრავთმცოდნეობის, მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის, სოლფეჯიოს, მუსიკის ისტორიის საკითხების სისტემური ცოდნა;
- ფლობს ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- აქვს საკრავებზე დაკვრის პრაქტიკული ცოდნა;
- გააჩნია ზოგადი ცოდნა ჰუმანიტარული საგნების სფეროში.
- აცნობიერებს მუსიკალური ხელოვნების, როგორც დარგის, საერთო სტრუქტურასა და მის ურთიერთკავშირს ხელოვნების სხვა დარგებთან;
- **პედაგოგიკის სფეროში:** აქვს პედაგოგიური დისციპლინების ცოდნა, მათ შორის სამუსიკო პედაგოგიკის სფეროში. აქვს სწავლებისა და აღზრდის ფორმების, მეთოდების ცოდნა; პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის ცოდნა, იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, სამუსიკო განათლების არსებულ სისტემებს. იცნობს თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებს, იცნობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს.
- **ფსიქოლოგიის სფეროში:** იცნობს ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებებს და ასაკობრივ თავისებურებებს. აქვს ღრმა ცოდნა სამუსიკო ფსიქოლოგიის სფეროში.
- **დარგობრივი სფერო:** აქვს სამუსიკო დიდაქტიკისა და ინტერპრეტაციის ისტორიის ღრმა ცოდნა. იცნობს სამუსიკო განათლების თეორიულ საფუძვლებს, კომპოზიციის სწავლების ტრადიციულ და უახლეს მეთოდებს, მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდებსა და ფორმებს;
- აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლების სტრატეგიის შემუშავების უნარი როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის დროს;
- იცნობს სამუსიკო-საგანმანათლებლო სტანდარტებს და სასწავლო გეგმას;
- იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის მასწავლებლის სტანდარტს და მუსიკის საგნობრივ პროგრამას;
- აქვს პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარის ცოდნა სწავლების საფეხურების შესაბამისად.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

- აქვს მუსიკალური ნაწარმოებების შექმნის პრაქტიკული ცოდნა;
- შეუძლია შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით;
- გამომუშავებული აქვს მუსიკალურ ტექსტთან ურთიერთობის სპეციფიური პრაქტიკული უნარ-ჩვევები: ფურცლიდან კითხვა (უცხო ნაწარმოების საკრავზე ან/და ხმით შესრულება), სმენითი ანალიზი;

- შეუძლია გადაიტანოს მუსიკალური ნაწარმოები სხვა საკრავისთვის (ან საკრავთა ჯგუფისთვის);
- პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულებისას შეუძლია სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და ჟანრის ნაწარმოების თეორიულ-მხატვრული ანალიზი;
- შეუძლია მის მიერ ჩაწერილი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების გამოყენება საკუთარ საკომპოზიტოროსაქმიანობაში;
- აქვს კომპოზიციის, მუსიკალურ-თეორიული დისციპლინების, მუსიკის საგნის სწავლების პრაქტიკული ცოდნა.
- კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის უნარი, აქვს მუსიკის გაკვეთილების ორგანიზებისა და ჩატარების უნარი;
- აქვს პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების უნარი;
- შეუძლია მოსწავლეთა მუსიკალური მონაცემების გამოვლენა და მათთვის პედაგოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა, გააჩნია მოსწავლეთა შემოქმედებითი ზრდისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავების უნარი, შესაბამისი საშემსრულებლო რეპერტუარის შერჩევისა და მასზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით;
- აქვს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობის წარმართვის უნარი, მუსიკალური ღონისძიებების (კონცერტების, ვიქტორინების, მუსიკალური სპექტაკლების) ორგანიზების უნარი;
- გააჩნია მუსიკალურ-საშემსრულებლო მოღვაწეობის პრაქტიკული უნარი: შეუძლია პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარით განსაზღვრული ნაწარმოების შესრულება, სადირიჟორო უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება, მოსწავლეებისათვის ფორტეპიანოზე აკომპანირება;
- მოსწავლეებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებს.

დასკვნის უნარი

- დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი საკომპოზიტორო ხელოვნების დარგის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;
- მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია საბაზისო მონაცემებისა და კონცეფციების გამოყენება მოცემული საჭიროებისათვის და პრობლების გადასაჭრელად;
- შეუძლია მონაცემების ინტერპრეტირება;
- აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ შექმნილი ნაწარმოების შეფასება;
- აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.
- შეუძლია საკუთარი და სხვისი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება;
- დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი სამუსიკო პედაგოგიკის დარგის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით;
- აქვს მეთოდური და პრაქტიკული პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.

კომუნიკაციის უნარი

- გააჩნია მსმენლთან კომუნიკაციის სპეციფიური უნარი (საკომპოზიტორო ხელოვნების სფეროში უპირატეს საკომუნიკაციო საშუალებას წარმოადგენს თვით ხელოვნების ენა, მსმენელთან დამყარებული ემოციური უკუკავშირი კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკალური ნაწარმოების საკონცერტო შესრულების დროს);
- კურსდამთავრებულს აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში კოლეგიალური მუშაობის უნარი;
- აქვს სოციალურ პარტნიორებთან (საკონცერტო ორგანიზაციებთან) კომუნიკაციის უნარი;
- გააჩნია საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი მოღვაწეობის განხორციელების უნარი;
- თავისუფლად ფლობს ქართული სალიტერატურო და აკადემიურ ენას (გააჩნია პროფესიული წერისა და მეტყველების უნარი);
- იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს (ICT), მათ შორის საკომპოზიტორო ხელოვნების სფეროში; შეუძლია ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიებს დამოუკიდებლად ათვისება;
- საკომუნიკაციო დანეზე და პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის ფლობს ერთ უცხო ენას;
- გააჩნია კოლექტივში კოლეგიაკური თანამშრომლობის უნარი;
- შეუძლია კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვა;
- ახასიათებს აზროვნების კულტურა, განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების სისტემატიზაციის, პროგნოზირების უნარი.
- აქვს კოლეგებთან და მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან პროდუქტიული მუშაობის უნარი;
- მზად არის ღია კონტაქტებისათვის მოსწავლეების მშობლებთან;
- პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს;

სწავლის უნარი

- აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც კომპოზიციის და პედაგოგიურ სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს;
- აქვს თვითგანათლების, საკუთარი სწავლის სხვადასხვა მიმართულებებით ორგანიზაციის, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი;
- შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით;
- შეუძლია საკუთარი სწავლის შეფასება და შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრა;
- შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურის საფეხურზე.

ღირებულებები

- აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე;

- კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული პასუხისმგებლობა და სათანადო ეთიკური ნორმები.
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს პროფესიული ეთიკის ნორმებს;
- აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი;
- იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ, ტოლერანტობას სხვა მუსიკალურ კულტურათა მიმართ.
- აქვს როგორც დარგობრივი, ისე ტრანსფერული პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი;
- გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა;
- ნებისმიერ სიტუაციაში იცავს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს;
- აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება სამუსიკო ხელოვნების კომპოზიციის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროგრამაზე სწავლისას სტუდენტის პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობის მიზნით უპირატესობა ენიჭება **ინდივიდუალური მეცადინეობის მეთოდს.** სპეციალობის ძირითად მოდულში შემავალი სასწავლო კურსების შესწავლა შემოქმედებითი და საშემსრულებლო ამოცანების თანდათანობით გართულებას და უწყვეტი სწავლების მეთოდს ეფუძნება.

სწავლების პროცესში გამოიყენება, აგრეთვე, შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- შემოქმედებითი პროდუქციის შექმნა;
- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები/სემინარები;
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების (კონცერტები, ფესტივალები, ფილმების, სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება) განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (საკონცერტო დარბაზი, ელექტრონულ-კომპიუტერული სტუდია);
- კომპოზიციის დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- სხვადასხვა სახის შემოქმედებითი მიღწევების ანალიზი;
- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- შემოქმედებითი პროექტებით კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები
	სპეციალური სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი	
1	სპეციალობის კლასი და პედაგოგიური სემინარები	40 18
2	XX საუკუნის კომპოზიციის ტექნიკა	6
3	საკრავთმცოდნეობა C	6
4	საორკესტრო სტილების ისტორია	3
5	გაორკესტრება C	8
6	სიმფონიური პარტიტურების კითხვა C	8
	ზოგადი სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი	
1	პოლიფონია	16
2	სოლფეჯიო	6
3	ჰარმონია	14
4	მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი	12
5	მსოფლიო მუსიკის ისტორია	28
6	ქართული მუსიკის ისტორია	8
7	არაევროპული მუსიკის ისტორია	4
8	ქართული ხალხ. მუს. შემოქმედება	4
9	ფორტეპიანო C	8
10	გალობა	4
	პედაგოგიკის სასწავლო კურსების/მოდულების ბლოკი	
1	სპეციალური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა	3
2	მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	3
3	პედაგოგიური პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში	6
4	პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში	6
6	სამუსიკო დიდაქტიკის და ინტერპრეტაციის ისტორია	12
7	პედაგოგიკის მოდული	6
8	ფსიქოლოგიის საფუძვლები	3
9	სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია	3
	ჰუმანიტარული სასწავლო კურსების ბლოკი	
1	ინფორმატიკა	6
2	ფილოსოფია	2
3	ზოგადი და მუსიკალური ესთეტიკა	4
4	უცხო ენა	8
	კრედიტების ჯამი	255

1. სასწავლო გეგმაში ასახულია მხოლოდ კრედიტები. სტუდენტის დატვირთვის ფორმები (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები) იხ. შესაბამისი სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსში/მინიმალურ სტანდარტში.

2. პედაგოგიკის სასწავლო კურსების ბლოკიდან (სამუსიკო პედაგოგიკა – 3 კრ; სამუსიკო განათლების სისტემები – 3 კრ; თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები – 3 კრ; ზოგადი პედაგოგიკა – 3 კრ) სტუდენტმა უნდა გაიაროს სამუსიკო პედაგოგიკა და ერთი რომელიმე სასწავლო კურსი (არჩევითი).
3. არჩევით საგნებზე გათვალისწინებული კრედიტები სტუდენტმა შესაძლებელია მოიპოვოს არჩევითი სასწავლო კურსის გავლის, ან სხვადასხვა სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის გზით. 255 კრედიტის ზევით სტუდენტის მიერ სამეცნიერო/შემოქმედებით პროექტებში მოპოვებული კრედიტები ასახვას ჰპოვებს დიპლომის დანართში.

სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსის დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის დამ უ	ღირებულებები
კომპოზიცია და პედაგოგიური სემინარები	x	x	x	x	x	x
XX საუკუნის კომპოზიციის ტექნიკა	x	x		x	x	x
საკრავთმცოდნეობა	x	x			x	
საორკესტრო სტილების ისტორია	x	x	x			x
გაორკესტრება	x	x		x	x	
სიმფონიური პარტიტურების კითხვა	x	x			x	x
პოლიფონია	x	x	x		x	x
სოლფეჯიო	x	x		x	x	
ჰარმონია	x	x		x		x
მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზი	x	x	x	x	x	x
მსოფლიო მუსიკის ისტორია	x	x	x	x		x
ქართული მუსიკის ისტორია	x	x	x	x		x
არაევროპული მუსიკის ისტორია	x	x	x			x
ქართული ხალხ. უს. შემოქმედება	x	x	x	x	x	x
გალობა	x	x	x		x	x
სპეციალური დისციპლინების სწავლების მეთოდიკა	x	x	x	x		x
მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	x	x	x	x		x
პედაგოგიური პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში	x	x	x	x		x
პედაგოგიური პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში	x	x	x	x		x
ფორტეპიანო	x	x	x	x		
სამუსიკო დიდაქტიკის და ინტერპრეტაციის ისტორია	x	x				x
პედაგოგიკის მოდული:	x	x		x		x
ფსიქოლოგიის საფუძვლები	x	x		x	x	x
სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია	x	x		x	x	x
ინფორმატიკა	x	x		x		
ფილოსოფია	x	x		x		x
ზოგადი დამ უს. ესთეტიკა	x	x	x			x
უცხო ენა	x	x		x		

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამინაური რესურსები:

საბაკალავრო პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია შემოქმედებითი, პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები, ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა (აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები,ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები, საოპერო სტუდია. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).
პედაგოგიურ პრაქტიკას სტუდენტი გაივლის კონსერვატორიასთან არსებულ სკოლა–სემინარიაში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი: კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია
პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი: პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი რუსუდან თაყაიშვილი
სწავლების ენა: ქართული
პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი
პროგრამის სტრუქტურა:
პროგრამა ითვალისწინებს ცოდნის და კომპეტენციების შეძენა-განვითარებას რამდენიმე მიმართულებით, შესაბამისად იგი შედგება 4 ბლოკისგან;

1. **პედაგოგიკის სასწავლო კურსების ბლოკი - 6 კრედიტი**
2. **ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების ბლოკი - 6 კრედიტი**
3. **დარგობრივი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების ბლოკი - 36 კრედიტი**
4. **პედაგოგიური პრაქტიკის ბლოკი -12 კრედიტი**

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:
პროგრამის მიზანია სკოლისგარეშე სამუსიკო საგანმანათლებლო დაწესებულების (სამუსიკო სკოლის) მასწავლებლის და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის საგნის მასწავლებლის მომზადება. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტის მიერ შერჩეული სპეციალობით მომავალი პედაგოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების, პროფესიული კომპეტენციების გამომუშავებას.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა
პროგრამაზე დაიშვებიან:

1. უმაღლესი აკადემიური სამუსიკო განათლების მქონე პირები, რომელთაც აქვთ ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი განათლების დიპლომი.
2. უმაღლესი პროფესიული სამუსიკო განათლების მქონე პირები (დიპლომირებული სპეციალისტები).
3. პროფესიული სამუსიკიო განათლების მე-5 საფეხურის კვალიფიკაციის მქონე პირები.
4. პროგრამის გავლა შესაძლებელია საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	**პედაგოგიკის სფეროში:** აქვს პედაგოგიური დისციპლინების ცოდნა, მათ შორის სამუსიკო პედაგოგიკის სფეროში. აქვს სწავლებისა და აღზრდის ფორმების, მეთოდების ცოდნა;

	პედაგოგიური პროცესის ორგანიზაციის ცოდნა, იცნობს ეროვნული განათლების სისტემის სტრუქტურას, სამუსიკო განათლების არსებულ სისტემებს. იცნობს თანამედროვე პედაგოგიურ ტექნოლოგიებს, იცნობს სწავლის, სწავლებისა და შეფასების სტრატეგიებს. **ფსიქოლოგიის სფეროში:** იცნობს ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ადამიანის ფსიქოლოგიური განვითარების კანონზომიერებებს და ასაკობრივ თავისებურებებს. აქვს ღრმა ცოდნა სამუსიკო ფსიქოლოგიის სფეროში. **დარგობრივი სფერო:** აქვს სამუსიკო დიდაქტიკისა და ინტერპრეტაციის ისტორიის ღრმა ცოდნა. იცნობს სამუსიკო განათლების თეორიულ საფუძვლებს, მუსიკის სწავლების (პროფილის შესაბამისად) ტრადიციულ და უახლეს მეთოდებს, მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდებსა და ფორმებს; აქვს სასწავლო პროცესის დაგეგმვის, სწავლების სტრატეგიის შემუშავების უნარი როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მუშაობის დროს; იცნობს სამუსიკო-საგანმანათლებლო სტანდარტებს და სასწავლო გეგმას; იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნულ სასწავლო გეგმას, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუსიკის მასწავლებლის სტანდარტს და მუსიკის საგნობრივ პროგრამას; აქვს კონკრეტული პროფილის საშემსრულებლო ხელოვნების პრინციპებისა და პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარის ცოდნა სწავლების საფეხურების შესაბამისად.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	აქვს საშემსრულებლო დარგის, მუსიკალურ-თეორიული, ისტორიული დისციპლინებისა, მუსიკალური ფოლკლორისა და მუსიკის საგნის სწავლების პრაქტიკული უნარი; კურსდამთავრებულს აქვს სასწავლო პროცესის დაგაგმვისა და წარმართვის უნარი, აქვს მუსიკის გაკვეთილების ორგანიზებისა და ჩატარების უნარი; აქვს პედაგოგიურ პრაქტიკაში სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენების უნარი; შეუძლია მოსწავლეთა მუსიკალური მონაცემების გამოვლენა და მათთვის პედაგოგიური მხარდაჭერის აღმოჩენა, გააჩნია მოსწავლეთა შემოქმედებითი ზრდისათვის სწორი სტრატეგიის შემუშავების უნარი, შესაბამისი საშემსრულებლო რეპერტუარის შერჩევისა და მასზე მუშაობის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით და ფსიქოლოგიურ-ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; აქვს ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობის წარმართვის უნარი, მუსიკალური ღონისძიებების (კონცერტების, ვიქტორინების, მუსიკალური სპექტაკლების) ორგანიზების უნარი; გააჩნია მუსიკალურ-საშემსრულებლო მოღვაწეობის

	პრაქტიკული უნარი: შეუძლია პედაგოგიური სამუსიკო რეპერტუარით განსაზღვრული ნაწარმოების შესრულება, სადირიჟორო უნარ-ჩვევების პრაქტიკული გამოყენება, მოსწავლეებისათვის ფორტეპიანოზე აკომპანირება; მოსწავლეებთან ურთიერთობისას ითვალისწინებს მათ ფსიქოლოგიურ-ასაკობრივ თავისებურებებს.
დასკვნის უნარი	აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი; დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტაცია სამუსიკო პედაგოგიკის დარგის საბაზისო მეთოდების გამოყენებით; შეუძლია საკუთარი და სხვისი პედაგოგიური საქმიანობის შეფასება; დამოუკიდებლად შეუძლია ახალი და განყენებული მონაცემების ანალიზი სამუსიკო პედაგოგიკის დარგის სტანდარტული მეთოდების გამოყენებით; აქვს მეთოდური და პრაქტიკული პრობლემების ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.
კომუნიკაციის უნარი	აქვს კოლეგებთან და მოსწავლეთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან პროდუქტიული მუშაობის უნარი; მზად არის ღია კონტაქტებისათვის მოსწავლეების მშობლებთან; პატივისცემით ეპყრობა განსხვავებულ აზრს; შეუძლია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული (მუსიკალურ-დიდაქტიკური მასალები, რეპერტუარი, ლიტერატურა) ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ფლობს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს, წერითი და ზეპირი მეტყველების სპეციფიკას, აქვს უნარი ააგოს საკუთარი მეტყველება კომუნიკაციური და ეთიკური ნორმების შესაბამისად; ფლობს უცხო ენას პროფესიული ამოცანების რეალიზაციისათვის.

სწავლის უნარი	აქვს სპეციფიური სამუსიკო შემოქმედებითი მონაცემები, რომელიც პედაგოგიურ სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს; აქვს თვითგანათლების, კვალიფიკაციის ამაღლების უნარი; შეუძლია პროფესიული წინსვლის მიზნით სწავლის სამომავლო მიმართულებების დამოუკიდებლად განსაზღვრა და დაგეგმვა; აქვს საკუთარი სწავლის სხვადასხვა მიმართულებებით ორგანიზაციის უნარი;
ღირებულებები	აქვს შემოქმედებითი და მხატვრული ღირებულებანი და ზრუნავს მათ განვითარებაზე; აქვს როგორც დარგობრივი, ისე ტრანსფერული პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზაციის უნარი; გაცნობიერებული აქვს თავისი საქმიანობის მნიშვნელობა; ნებისმიერ სიტუაციაში იცავს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობის ეთიკურ ნორმებს; აფასებს საკუთარ და კოლეგების დამოკიდებულებას პროფესიული საქმიანობისადმი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აუცილებელი პირობაა შემოქმედებითი/პრაქტიკული და პედაგოგიური/თეორიული სწავლების მეთოდების ორგანული ინტეგრაცია, სტუდენტის ინდივიდუალური შემოქმედებითი პოტენციალისა და უნარ-ჩვევების განვითარება ზოგადი და სამუსიკო პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და შესაბამისი სპეციალობის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სწავლების პროცესში გამოიყენება შემდეგი ფორმები და მეთოდები:

- ლექციები და პრაქტიკული მეცადინეობები;
- პედაგოგიური სემინარები (ღია გაკვეთილები, სპეციალური კლასის პედაგოგის მასტერ-კლასები);
- დემონსტრირების მეთოდი (შესასწავლი ნაწარმოების ჩვენება ინსტრუმენტთან, აუდიო და ვიზუალური გზით);
- სტუდიური - რეპეტიციული მეცადინეობები, მათ შორის შემოქმედებითი პროექტების განსახორციელებლად;
- სწავლება პროფესიულ გარემოში (სარეპეტიციო,საკონცერტო დარბაზი);
- სამუსიკო პედაგოგიკის დარგის გამოჩენილ მოღვაწეთა პროფესიული მასტერკლასები;
- პრაქტიკულ/შემოქმედებითი დავალებების თეორიული/ისტორიული ასპექტების შესწავლა;
- წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- სხვადასხვა სახის დიდაქტიკური სისტემების ანალიზი;

- პროფესიულ საკითხებზე დისკუსიებისა და დებატების იმიტირება - წარმართვა;
- პრაქტიკული/შემოქმედებითი პროექტებით კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, კონცერტებში, ფესტივალებსა და სხვადასხვა წარმოდგენებში მონაწილეობა;
- პროფესიული პედაგოგიური უნარების ფორმირების და განვითარების მიზნით სტუდენტის დამოუკიდებელი, აუდიტორიის გარეშე მუშაობა.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება საქართველოში მოქმედი კანონდებლობის შესაბამისად შემდეგი სქემით:

ქულები	ქულების ასოითი აღნიშვნა	შეფასების აღნიშვნა
91 – 100	A	ფრიადი
81 – 90	B	ძალიან კარგი
71 – 80	C	კარგი
61 – 70	D	დამაკმაყოფილებელი
51 – 60	E	საკმარისი
41 – 50	FX	ვერ ჩააბარა
0 – 40	F	ჩაიჭრა

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები
პედაგოგიკის სასწავლო კურსების ბლოკი		
1.	სამუსიკო პედაგოგიკა	3
2.	სამუსიკო განათლების სისტემები	3
3	თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები	3
4.	ზოგადი პედაგოგიკა	3
ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების ბლოკი		
1.	ფსიქოლოგიის საფუძვლები	3
2.	სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია	3
დარგობრივი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების ბლოკი		
1	სპეციალობა და პედაგოგიური სემინარები	18
2.	სამუსიკო დიდაქტიკის და ინტერპრეტაციის ისტორია	12
3.	დარგობრივი მეთოდიკა	3
4.	მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	3
პედაგოგიური პრაქტიკის ბლოკი		
1.	პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში	6
2.	პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში	6

პედაგოგიკის სასწავლო კურსების ბლოკიდან (სამუსიკო პედაგოგიკა – 3 კრ; სამუსიკო განათლების სისტემები – 3 კრ; თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები – 3 კრ; ზოგადი პედაგოგიკა – 3 კრ) სტუდენტმა უნდა დააგროვოს 6

კრედიტი, სამუსიკო პედაგოგიკისა და ერთი რომელიმე სასწავლო კურსის (არჩევითი) გავლის გზით.

ფსიქოლოგიის სასწავლო კურსების ბლოკიდან - 6 კრედიტი;

დარგობრივი სპეციალიზაციის სასწავლო კურსების ბლოკიდან - 36 კრედიტი;

პედაგოგიური პრაქტიკის ბლოკიდან - 12 კრედიტი.

დარგობრივი სპეციალიზაციის ბლოკში შემავალი სასწავლო კურსები (სპეციალობა და პედაგოგიური სემინარები, სამუსიკო დიდაქტიკისა და ინტერპრეტაციის ისტორია, დარგობრივი მეთოდიკა) განსხვავებულია სპეციალობების მიხედვით, მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკის კურსი საერთოა ყველა სპეციალობისათვის.

სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/მოდულები	**კომპეტენციების ჩამონათვალი**					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
სამუსიკო პედაგოგიკა	x	x	x	x	x	x
სამუსიკო განათლების სისტემები	x	x	x	x	x	
თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები	x	x		x	x	
ზოგადი პედაგოგიკა	x	x	x	x	x	x
ფსიქოლოგიის საფუძვლები	x	x		x	x	
სამუსიკო და ასაკობრივი ფსიქოლოგია	x	x		x	x	
სპეციალობა და პედაგოგიური სემინარები	x	x	x	x	x	x
სამუსიკო დიდაქტიკის და ინტერპრეტაციის ისტორია	x	x		x	x	x
დარგობრივი მეთოდიკა	x	x	x	x	x	x
მუსიკის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა	x	x	x	x	x	x
პრაქტიკა სამუსიკო სკოლაში	x	x		x	x	
პრაქტიკა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში	x	x		x	x	

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსები:

პროგრამის განსახორციელებლად კონსერვატორიას გააჩნია პრაქტიკული და სამეცნიერო–კვლევითი მუშაობისთვის აუცილებელი, სანიტარული და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების შესაბამისი მატერიალურ–ტექნიკური ბაზა: სათანადოდ მომზადებული (მუსიკალური ინსტრუმენტები, კომპიუტერები,

ბგერითი იზოლაცია, ვენტილაცია, გათბობის სისტემა, მერხები, დაფები, სადემონსტრაციო მოწყობილობა – აუდიო და ვიდეო ტექნიკა) სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები, საკონცერტო და სარეპეტიციო დარბაზები. სტუდენტი უზრუნველყოფილი იქნება ბიბლიოთეკების, ფონოთეკის მომსახურებით (ბიბლიოთეკის წიგნადი, სანოტო და აუდიო ფონდებით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერით).

პედაგოგიურ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან კონსერვატორიის სამუსიკო სემინარიაში და სემინარიასთან არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი:

კონკურსის საფუძველზე მიღებული აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები/სპეციალისტები და დამხმარე პერსონალი.

პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგია

პროგრამის ხელმძღვანელის, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული კურსების წამყვანი აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების და სტუდენტების გამოკითხვის შედაგად მიღებული შეფასებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამა ექვემდებარება განახლებას, საჭიროების შემთხვევაში - მოდიფიცირებას.